საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 18

18/01/2018

2018 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეთა მიღების განრიგის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 47–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 117 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაწესდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მიღების დღედ ყოველი კვირის ორშაბათი, ხოლო კვირის სხვა დღეებში მოქალაქეთა მოთხოვნის შესაბამისად.

2.დაწესდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა მიერ (გარდა თანამდებობის პირებისა) მოქალაქეთა მიღების დღედ ყოველი კვირის პარასკევი.

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა მიერ ((გარდა თანამდებობის პირებისა) მოქალაქეთა მიღება გაიმართოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში.

4. განისაზღვროს მოქალაქეთა მიღების საათები 6 საათით , თითოეული მოქალაქესთვის გამოყოფილი დროის რეგლამენტი 10 წუთით.

5. დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს დაავალოს ადმინისტრაციული ერთეულებში მერის წარმომადგენლებს ხელი შეუწყონ საკრებულოს წევრებს მოქალაქეთა მიღებაში.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 03 ნოემბრის #237 ბრძანება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეთა მიღების განრიგის დამტკიცების თაობაზე .

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის " საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე